ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **114-11422304182**
თარიღი: **31/10/2022**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოსდაცვის საკითხთა

კომიტეტის თავმჯდომარეს

ფრიდონ ფუტკარაძეს

ბატონო ფრიდონ,

მიმდინარე წლის 10 ოქტომბრის მომართვის შესაბამისად, გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას.

1. მუნიციპალიტეტში მოქმედებს პროგრამები, რომლებიც მიმართულია ალტერნატიული გათბობის საშუალებებზე. კერძოდ „ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება“ - ქვეპროგრამა რომელიც ითვალისწინებს ცალკეული სოციალური ჯგუფების ოჯახების გაზიფიცირებას - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე) არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით. ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 70 001-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახებს, 0-დან 200 001 ქულამდე ომის ვეტერანები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახებს. 2021 წლისათვის ბენეფიციართა წრე გაფართოვდა და ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევათ ასევე 0-დან 200 001 ქულამდე შშმ პირების ოჯახებს. ასევე ვახორციელებთ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საშეშე მასალით უზრუნველყოფას;

2. მტაცებელი ცხოველების მიერ შინაური ცხოველებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაზიანების თაობაზე შემოდის მოსახლეობიდან შეტყობინებები. შექმნილია მონადირეთა ჯგუფი, რომლებიც მომართვის

შემთხვევაში ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მიმდინარე წელს აღნიშნული საკითხით მოსახლეობას უწყებისთვის არ მოუმართავს.

3. ტყით სარგებლობის პრობლემებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაურეგისტრირებელი ოჯახები, რომელთაც საკუთრებაში არ გააჩნიათ მიწის ნაკვეთები ვერ ხდება საშეშე-სამერქნე მასალის გადაცემა.

   მუნიციპალიტეტი საშეშე-სამერქნე მასალას ძირითადად გომის მთიდან იღებს. ასევე აღსანიშნავია, რომ გადმოცემული მასალა იმდენად მიზერულია, მერია ვერ ახერხებს სრულა მოსახლეობის უზრუნველყოფას საშეშე- სამერქნე მასალით.

   იყო წლები, როცა მუნიციპალიტეტს საერთოდ არ მიუღია ხის მასალა.

4. მუნიციპალიტეტში არსებული გარემოს დაცვითი ღონისძიებებისა და საჭიროებების შესახებ იხ. დანართი;

5. მოსახლეობის მხრიდან ჩართულობა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მუნიციპალურ თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მერ გამოცხადებულ პროგრამებით სარგებლობასთან დაკავშირებით არის მაღალი. ამ კუთხით აღსანიშნავია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამები - მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა, მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

ლევან ზოიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი